რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирадовის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амиро ლოგის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

უოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: ფოთლებრივით ასოზე—1 კაპ., ახალ-მთავრულით ტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

მომავალ 1879 წელს გაზეთი „დროება“

Გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

Თფილისში მიიღება რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирадовის სახლებში, № 8.

Ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

გაზეთის ფასი

მთელის წლისა — —	8 მან.
ექვსის თვისა — — —	5 მან.
სამის თვისა — — —	3 „
ერთის თვისა — — —	1 „

Მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

Ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

საქართველო

ახალი ქალაქის რჩევა

ამ ორშაბათს გათავდა უკანასკნელი (მესამე) რაზრიადის ამომრჩეველთა კენჭის-ყრა და ამ ნაირად ჩვენს ქალაქს ელარსა ახალი ქალაქის რჩევა.

Რას უნდა მოველოდეთ ამ ახალ რჩევისაგან? Რას შესძენენ ახალი ხმოვანები ქალაქ ისეთს, რომ ქალაქმა შემდეგში მადლობითა და თანაგრძნობით მოიგონოს თავის წარმომადგენლები? Რა სიკეთეს, რა სარგებლობას მოუტანს ეს ახალი რჩევა იმ ღარიბ ნაწილს ქალაქის მცხოვრებლებისას, რომელსაც ყველაზე უფრო ეჭირება დახმარება, ხელისმომართვა და სხვ?

Სანამ ამაზედ რასმე ვიტყოდეთ, საჭიროა ჯერ გაცნობა იმ ხმოვანებისა, რომელზედაც ვლაპარაკობთ და რომელთაგანაც საქმის გაკეთებას მოველით. Მოვიყვანოთ სია ყველა იმ ხმოვანებისა, რომელნიც ახალ ქალაქის რჩევას შეადგენენ:

I რაზრიადის:

1. Ალ. სტ. მატინოვი
2. Ან. სოლ. Ფორლანოვი
3. პ. ლ. ალხაზოვი
4. Არ. ნ. ქედხუდოვი
5. პ. ა. იზმაილოვი
6. Არ. Არ. ხარაზოვი
7. Აბ. პ. ბებუთოვი
8. Ალბ. თ. ზალცმანი
9. ნ. დ. ზუბალოვი
10. Იაზ. დ. თუმანოვი
11. Გ. Გ. ევანგულოვი
12. Ივ. Იგ. პოლტარაცკი
13. ზაქ. ბაბ. თამამშევი
14. ქ. ი. მანთაშევი
15. ს. ა. ამიროვი
16. მელქ. ბასპ. ლომიზე
17. ა. თ. ფრიდონოვი
18. მ. ი. ალიხანოვი
19. მარკ. ი დოლუხანოვი
20. Არტ. ა. თამამშევი
21. მ. ი. სპიროვი
22. ი. ო. წურინოვი
23. ნ. თ. დობრჟანსკი და
24. ბოლ. Იგ. სტატკოვსკი

II რაზრიადის

25. ს. პ. ალადათოვი
26. Აბ. Არ. Ონესიანი
27. ლ. კ. ელიმირზოევი
28. სტ. ი. იზმიროვი
29. ი. ი. სტარიცკი
30. Აბ. ბაბანასოვი
31. დ. ქ. ლისიცევი
32. დ. ი. ყიფიანი
33. ე. დ. როტინიანცი
34. ვ. ი. სურგუნოვი
35. თ. ე. ხაჯიმინასოვი
36. პ. ს. ბამბაროვი.
37. ლ. მ. ბეგლიაროვი
38. კოსტ. ალ. ბებუთოვი
39. კოსტ. ქ. მამაცოვი
40. ეჯ. ბ. ეჯუბოვი
41. ნაპ. ივ. ამატუნი
42. ავერკიევი.

ფელეტონი

თფილისიდამ იტალიაში

(მგზავრის შენიშვნები)

(Დასასრული)

Იმავე საღამოს, 28 აგვისტოს, გადაველ Იტალიის გემზედ „Principe Amedeo“, რომელიც მალე დაიძრა ალაგიდგან, მშვიდობით გაიარა მარმარილოს ზღვა და მეორე დღეს დილით შევიდა Დარდანელში. Ეს სრუტი ორივ მხრით გამაგრებულია ციხე-სიმაგრეებითა; ზღვის კიდეებზედ ბევრი კარგი შენობეებია და ვენახები მაღლული ჯანდრებით. Დარდანელი ჩქარა დაუტოვეთ და მეორე დღეს დილით მშვიდობით მიველით სმირნაში (Იზმირნაში).

Სმირნა მდებარეობას მშვენიერ ზღვის ყურზედ, რომელიც აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხერეთით შემორტყმულია მაღალი მთებითა; ზღვის ნაპირზედ ბევრი ტურფა შენობებია, აშენებული ევროპიულიი გემოთი; ამ სახლების ზემოთ დაიწყობა აზიური ბანებიანი სახლები. Საღამოთი—მზის ჩასვლის დროს—ეს ზემოთი ქალაქი ისე მშვენიერად ჩაიფერა მზის სხივებით, რომ ნამდვილათ მოზაიკას (Აია-სოფიას მხატვრობას) ჰგვანდა.

Დილით 31 აგვისტოს გამოვედით სმირნიდან და დავიწყეთ ცურვა Არხიპელაგზედ*)—პირდაპირ გაღმა მხრისკენ—Ათინისკენ.

*) Ამ ზღვას უწოდებენ კიდეე სხვა სახელს—Ეგეის ზღვას. Ბერძნების მითოლოგია (ზღაპარ-სიტყვაობა) ამ ზღვის სახელის—დებაზედ აირას მოგვითხრობს:

Ეგეი იყო Ათინელების ხელმწიფე და ჰყვანდა მას შვილი Ტეზეი, რომელმაც სიჭაბუკითვე გამოიჩინა თვისი გმირობა: გმირთა ამარცხებდა და ავაზაკებს თავსზარსა სცემთა. Პირველ მის სიმამაცეთ ითვლება მინოტავრის მოკვლა.

Სმირნიდან გამოვედით თუ არა, ცა წამოიბურა ბოროტ მომასწავებელის ღრუბლებით; ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრიდან ჰქრიდა ქარი და ზღვა საშინლად ღელავდა. როცა Ანატოლიის კიდენი შორს დაუტოვეთ უკან და როცა შევედით შუა ზღვაში, სურათი შეიქმნა უფრო სამწუხარო და დასაღონებელი: ღელვამ ყველა შეგვაწუხა; ბავშვებმა შექნეს ტირილი და დასუსტებულ დედებსა იმოდენა ღონე აღარ ჰქონდათ, რომ თავის ბავშვებისათვის მოეპრიტის კუნძულის ხელმწიფეს—მინოსს Ათინელებმა შვილი მოუკლეს; მაგიერად მან Ათინელებს დასდო ხარჯი შვიდი ჭაბუკით და შვიდი ქალწული, რომელთაც შეიპყრობდნენ ხოლმე ლაბირონთოში, სადაც დამწყვდეული ჰყვანდათ დამშეული მინოტავრი, ნახევარ კაცი, ნახევარ ხარი, და იქ ამ უბედურებს ეს ცხოველი შთანთქავდა ხოლმე.

Ტეზეიმ, უბედურების სიბრალულისა

43. მ. ამბარდანოვი
44. ი. სტ. ხატისოვი
45. ბრ. ივ. იზმიროვი
46. ა. ს. წურინოვი
47. ი. ად. ფორაქოვი
48. ი. ბ. ფრიდონოვი

III რაზრიადის

49. ს. პ. შაჰდინაროვი
50. არ. ი. ბირთანოვი
51. ნ. ი. ნიკოლაძე
52. ი. ი. ხოსროევი
53. ბ. ნ. სუნდუკიანცი
54. ი. ელიმირზოვი
55. არ. ი. იონესიანი
56. ს. ს. მესხი
57. ა. ზ. ჩოლაყაშვილი
58. ი. ს. აქიმოვი
59. ა. ლ. თაიროვი
60. ი. ტერ.-ოსეფიანც
61. ბრ. ი. შანშიევი
62. პ. ნ. ბაბანასოვი
63. მ. პ. ბებუთოვი
64. ბ. ს. ხატისოვი
65. ნ. ნ. შანშიევი
66. ა. ი. კაპანაძე
67. ბ. მ. ფორლანოვი
68. სტ. ბ. ზარაფოვი
69. სტ. ს. სარქისოვი
70. ი. ბ. ფონდოევი
71. ზ. ბ. ტერ-ასატუროვი და
72. ი. წინამძღვაროვი

როგორც ჰხედავთ, მომეტებული ნაწილი ამ ახალ ხმოვანთაგანი ისევ ის ძველი ხმოვანები არიან, რომელნიც წარსული ოთხი წლის განმავლობაში შეადგენდნენ ჩვენი ქალაქის რჩევას და რომელზედაც მუდამ და ყველასაგან საჩივარი გვესმოდა.

იქნება საინტერესო იყოს გვარ-ტომობით განაწილების ანგარიშის მოყვანა ახალი რჩევისა და ესეც მოგვყავს. სულ ამ 72 კაცში არის:

სომეხი— —55
ქართველი—10
რუსი და სხვ.— 7

მომეტებული ნაწილი ახალი რჩევისა აგრეთვე მდიდარი და ფულიანი ხალხისაგან შესდგება, თუმცა ზოგიერთი მდიდრები ძველი რჩევისა ახალში არ იყვნენ ამორჩეულნი.

ამ ნაირად, ახალი რჩევა ძველისაგან ბევრით მაგდენათ არაფრით განირჩევა. არიან, მართალია, რამდენიმე კაცი ახალი ხმოვანები, და ამ მხრით შესანიშნავია, რომ ამორჩეულ იქმნენ სამი გაზეთის—„თფილისის მოამბის“ „ობზორისა“ და „დროების“—რედაქტორები, მაგრამ ამ რამდენსამე ახალ ხმოვანს მხოლოთ მაშინ შეუძლიანთ ქალაქისათვის შესამჩნევის რასმესი გაკეთება, თუ ენერგიულად, მხნედ მოჰკიდებენ თავის მოვალეობას ხელსა. ხშირად ერთი-ორი მარჯვე კაცი მთელს ლაშქარს გაიტაცებს სამაგალითო მხნეობითა და გაბედულობით.

ყველა ამას, რასაკვირველია, მომავალში დავინახავთ, დავინახავთ მაშინ, როდესაც ახალი რჩევა თავის საქმეს დაიწყებს და ახალი ხმოვანები საქმით გამოიჩენენ თავს.

ეს დამოკიდებულია აგრეთვე იმ ქალაქის ბამგეობაზე (თავზე და წევრებზე) რომელთაც ახალი რჩევა ამოირჩევს.

ახლა კი მხოლოთ იმას ვიტყვით, რომ საქმე ჩვენს ქალაქში რჩევას ძალიან ბლომად ექნება. საცა არ გაიხედავს, რასაც არ დააკვირდება, თითქმის ყველგან უსამართლობა, წესლობა და უთანასწორობა დახვდება. დახვდება ქალაქი უწყლო, უსინათლო, ღარიბები მდიდრებისაგან დაჩაგრულები, მთელი ქალაქი რამდენიმე ჩარჩისა და უსინიდისო ვაჭრისაგან შეიწროებული, დახვდება ქალაქი ნაგვითა და სიბინძურით სავსე, ხალხი განათლების საშუალებას მოკლებული და სხვ. და სხვ.

ყველა ამის გამკურნებელად არ გაგვიჩნდება, უეჭველია, ჩვენ-ქალაქს ახალი რჩევა. მაგრამ აგრეთვე უეჭველია, რომ ამ შეიწროებულ და დავრდომილ მდგომარეობაში ჩავარდნილ ქალაქისა და იმის ხალხისათვის ამ რჩევას შეუძლია ბევრი შემსუბუქების, ბევრი სიკეთისა და შეღავათის მოტანა, რასაკვირველია, თუ ეს რჩევა ეცდება, თუ ისიც იმ ძალისა და ცირკის კვალზე არ დაადგა, რომელზედაც იდგა ძველი რჩევა.

რაც უნდა იყოს, ჩვენ კიდევ ის იმედი გვაქვს, რომ ეს ახალი რჩევა ძველზე უკეთესი იქნება, ძველს ემჯობინება, ძველზე უფრო მომეტებულს გაკეთებს ქალაქის და იმის შეიწროებულ მცხოვრებლების კეთილ-დღეობისთვის.

ამ იმედით მივესალმებით ჩვენ თფილისის ქალაქის ახალ რჩევასა და ვინატრით, რომ ჩვენი იმედი გამტყუენებული არ იქმნეს... ს. მ.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ამ ერთის კვირის წინათ ჩვენს ქალაქში გავრცელდა ხმა, რომ ზემო-აჭარაში ხალხის არეულობა მოხდაო, ზოგიერთ სოფლებმა უწესლობა ჩაიდინესო. ჩვენ გვითხრეს, ეითომც შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს მოსვლოდეს აჭარიდამ ამბავი, რომ ხალხის არეულობის მიზეზი ის არისო, რომ გადასახადს ახდევინებენო; რამდენიმე სოფელს ერთმანეთში მოსვლიათო უკმაყოფილება, რადგან ვერ დათანხმებულან იმაზედ, რომ ერთად სთხოვონ რუსის მმართებლობას ამ თავით ნუ მოაკრებინებს აჭარაში გარდასახადს...

ახლა გაზეთს „ობზორში“ იწერებიან, რომ უწესლობის მიზეზი თეითონ აჭარის მეჯლიში (ადგილობრივი სასამართლო) ყოფილა, რომლისათვისაც ხალხს უთ-

---

რათ, ისინი პირქვე ეყარნენ და ჰკვნესოდნენ. ზემის ქორედზედ ვერც დგომა, ვერც ჯდომა და წოლა შესაძლებელი არ იყო: ერთ მხრიდგან მეორეზედ გვაცურებდა. თვით მატროსები—ღელვას შეჩვეულნი—ჰგვანდნენ მთვრალ რუსის სალდათს სირაჯხანიდგან მომავალსა. წყლის უფსკრულმა გამოიჩინა თავისი

გამო, თვით ისურვა წასვლა ქრიტზედ. იქ ის სხვა ექსი ჭაბუკით შეიპყრეს ლაბირინთოში, მაგრამ ტეზეიმ დაამარცხა მინოტავრი და მშვიდობით დაბრუნდა სამშობლო ქვეყნისკენ.

მაგრამ გზაზედ დაავიწყდა ნიშნად გამარჯვებისა გამოეცვალა ხომალდზედ შავი დროშა თეთრითა. ეგეი მოუთმენლად მოელოდა თვის შვილსა; მაგრამ როცა ციცაბ კლდის წვერიდამ დაინახა შავი დროშა, თვისი საყვარელი შვილი დაღუპული ეგონა და უკანასკნელ განწირულობით კლდიდან ზღვაში გადაარდა. და მას შემდეგ ამ ზღვას „ეგეის“ სახელი დაერქვა.

ავტ.

ძლიერება და დიდება: მოშაო-ლურჯი აქაფებული ზღვის ტალღა მაღლა რამდენსამე საჟენზედ აიწეოდა და თვალ მოუსწრობელი სიჩქარით ჩვენსკენ ისეთი ძალით წამოვიდოდა, რომ გეგონებოდათ გემს ეს არის გადააბრუნებს და დათქვამსო; მაგრამ, რა მოხვედებოდა ტალღას ხომალდის რკინის ცხვირი, იგი ჯერ საშინლად გაგვაქანებდა ხოლმე და მერე დამაყრუებელი შუილით ირღვეოდა და დიდ შხაპუნა წვიმასავით წყალს ქორედზედ გვასხამდა...

ღრუბლები სულ ერთად იკრიფებოდნენ; ერთბაშად ბნელ ცის ზეწარზედ გაირბინა ელვამ და ერთი საშინელი ხმით დაიჭექა. ხომალდის მაჩტებმა შექნეს გრგვინვა და თოკებმა დაიწყეს ზუილი. მეორედ დაიქუხა და დაიწყო წვიმამ კოკით სხმა; დაჰბერა ქარიშხალმა და შემოსტყორცნა ხომალდს საშინელი ტალღა, რომელმაც ისე გაგვაქანა, რომ მარცხენა მხარე ქორედისა თითქმის გაუთანასწორდა ზღვის ზედა-პირსა. ყველას თავს-ზარი დაეცა და საშინელის ხმით დაიძახეს: „დავიღუპეთ!“ მაგრამ კაპიტანმა ისე მალე და მარდათ მოაბრუნებინა გემი, რომ მეორე და მესამე წამოსული ავი ტალღა გემს ცხვირით გააჭრევინა და მით გადაგვარჩინა განსაცდელს...

თუმცა წვიმამ მალე გიდილო და ქარიშხილიც დადგა, მაგრამ ზღვა არ დამშვიდდა, ვიდრე არ მიუახლოვდით საბერძნეთის კიდეებს.

ღამის სამ საათზედ მივედით პირეიში, სადაც ღამე ვათიეთ.

ბათენდა თუ არა, გადავსჯექი სხვა პარახოდზედ: „Orticia Palermo“, რომელიც იმავე დილით უნდა წასულიყო ამ ნაეთსადგურიდან იტალიაში. პირეიდგან ათინა არა სჩანს, დანახვას უშლიან მთის ქედები..

ბავიარეთ თუ არა ზღვის ყური და შეველით გაშლილ ზღვაში, შორიდან დავინახე ძველი დედა-ქალაქი საბერძნეთისა—ათინა თვისი აკროპოლისით (სიმაგრეა, აშენებული შიგ შუა ათინაში). ამ აკროპოლის წვერზედ პერიკლის დროს მე-V საუკ. ქ. დაბადებამდე აღმართული იყო ძეგლი მეომარი ღმერ-

ხოვნია მთავრობასთან შუამდგომლობა, რომ, რადგან გაზაფხულზე ოსმალეთში გადასახლებას ვაპირებთ, ხარჯი ნუ გადაგვხდებაო; მეჯლიშს ეს საფუძვლიანი თხოვნა არ შეუწყნარებია და ამის გამო 10 დეკემბერს ზემო-აჭარის სოფლები: ტბეთი, ჭვანა, მურათის-ხევი და დანდალო ამდგარან, დაიარაღებულან, მიცვივნიან მეჯლიშს, მოუკლავთ ერთი წევრი იმისი—ბულო-ალადა დანარჩენი ორისათვის რეშიდ-ეფენდისა და სულეიმან ბერიძისათვის ბევრი უცემიათ.

ეს ამბავი ზემო-აჭარის გამგებელს უფ. ნ. მეფისოვს ბათუმში შეუტყობინებია.

ჯერ არ ვიცით—როგორ გათავდა ეს უწესობა ან ბათუმის სამხედრო მთავრობამ რა ზომები მიიღო უწესობის მოსმენდენ ხალხის შესახებ. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ბათუმის მთავრობა ამ შემთხვევაში კეთილ-გონიერად და სიფრთხილით მოიქცევა, არ მოინდომებს უმისოთაც ომისაგან და სხვა უბედურებისაგან შეწუხებულ ხალხის ამოჟლეტას და დასჯას. ხშირად ტკბილი სიტყვით და ლმობიერი საშუალებით უფრო მეტი გაკეთდება, ვინემ ძალით, შტიკებით.

*** ამბობენ, რომ უფ. თფილისის ლუბერნატორის განკარგულებით, ცალკე ტაქცია დაიბეჭდება ადგილობრივ ენებზედ—თუ სოფლის ხალხმა რა ფასათ უნდა გამოიტანონ სახელმწიფო ტყედამ საშენი ტყე, შეშა, ფიჩხი და სხვა ყველა, რაც დასჭირდება, და ეს ტაქცია ყველა უეზდის უპრავლენიებში, და სასოფლო კანცელარიებში იქნება აკრულიო.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს ძლიერ გონიერი განკარგულებაა.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ თფილისის ამბანოებს ძალიან ბინძურად ინახვენ პატრონებიო, განსაკუთრებით საზოგადო ჰაუზებში იშვიათად სცვლიან თურმე წყალს, არ ასუფთავებენ და ამის გამო ხშირად ჯან-საღი ხალხიც ავათ ხდებაო. სხვათა შორის, ამბობენ, რომ ამ დღეებში რამდენიმე კაცს უბანია ერთს აბანოში და ყველანი ცუდი სატკივრით ავათ გამხდარან.

საჭიროა, რასაკვირველია, რომ პოლიციამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს...

*** ერთი ვიღაც უცნობი კაცი უპოვნიათ ამ დღეებში მტკვარში დამლრჩვალი. იამის, მიცვალებულს ეტყობაო, რომ ის ჯერ მოუკლავთ და მერე ისე ჩაუგდიათ წყალშიო.

„დროების“ კორესპონდენცია

პეტერბურღი, 12 დეკემბერს. ამ საღამოს მომიხდა ნიკალაევის რკინის გზის ვაგზალზე ყოფნა. სხვა და სხვა მგზავრებ შორის იქ იყო ერთი მგზავრი, რომელსაც გარშემო ეხვია ორმოც სულამდი მომეტებული ნაწილი ყმაწვილ-კაცობა.

ვერ წარმოიდგენთ, რა თანაგრძნობით აცილებდნენ ამ კაცს და როგორ სწუხდნენ მის განშორებას!

როცა პოეზდი დაიძრა, ყველამ სალამი მისცეს, ერთმა წარმოსთქვა: „ნეტარ იმათ, საითაც შენ მიდიხარო!“ ამ სიტყვებმა ძრიელ აღმიძრეს ცნობის-მოყვარეობა: ეკითხე ერთ ყმაწვილ კაცს—ვის აცილებდით-მეთქი? მიპასუხა, ჩვენ საუკეთესო ამხანაგს, უფროსს და დამრიგებელს—იანოვსკის, რომელიც ქაკაზიაში მიდისო სამასწავლებლო პოპეჩიტლათაო. როცა ამ ამბავმა გამახარა, იმ ყმაწვილმა მკითხა: რა გიხარიანო? აუხსენი, რომ მე ქაკაზიიდგან ვარ და იქ მოუთმენლათ მიელიან მაგას, რომ ეგები ჩვენი სასწავლებლის მაზრის, ჭაობა როგორმე გამოამშრალოს, ბალახ-ბულახიდგან გაწმინდოს და კარგ ნაყოფიერ საღ მოსავალიან ადგილად აქციოს, რომ არც ერთი ჩვენი ნორჩი ხეხილი არ ჩალპეს, ან უკულმართათ არ აიზარდოს და კარგ ნაყოფს აძლევდეს ჩვენ ქვეყანას-მეთქი.

— მაშ მოგილოცამთ მაგ კაცის წამოსვლას! შემიძლიან მეც და ჩემმა ამხანაგებმაც დაგარწმუნოთ, რომ თქვენი იმედი აუცილებლად აგისრულდებათ. მე თქვენი მხარის ამბავი გაგონილი მაქვს და შემიძლიან წარმოვიდგინო — რა შესაბრალისნი არიან თქვენი მოსწავლე ყმაწვილ-კაცობა.

არ ვიცი—რამდენი სიმართლე მაქვს, რომ ასე მიხარიან და თქვენც გახარებთ, ჩემო მკითხველნო, მაგრამ, მგონი, არ ვსცდებოდე ამ ჩემ სიხარულში, თუმცა თერგს რა კი ჩამოუვლის, აქაური ანგელოზიც ძნელად რომ არ შეიცვალოს მაინც არი ჩვენი მხრისთვის...

ბუშინ ერთი ამბავი გავიგე, არ ვიცი რამდენად მართალია, რომ მითომ აქ რამდენიმე ყუთი დინამიტი (ასაფეთქი წამალი) არტილერიის სკლადიდგან დაკარგულიყოს და ამ მიზეზით ცხრა კაცი სისხლის სამართალში მიეცესთ. ამ დაკარგვამ ძრიელ დააფიქრა და შეაშინა ყველანი...

სტ. მე—ლი.

უცხო ქვეყნები

ინგლისი და ავღანი

ინდოეთიდამ მოსულა ლონდონში შემდეგი ოფიციალური დეპეშა 8 დეკემბერს:

„ღეს ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს ავღანის ქალაქი ჯელალაბადი. ხალხი დი-

---

თასი—პრომახოსისა. ეს ანდრიანტი ბრონძის მეტალისაგან (ბრინჯაოსაგან) ჩამოასხა უპირველესმა ქვეყანაზედ მქანდაკებელმა ფიდიასმა; ეს სტატუა ათინელებმა აღუმართეს თავის მფარველ მეომარ ღმერთა-ქალს სახსოვრად გამარჯვებისა სპარსებზედ. ეს ძეგლი წარმოადგენდა ფეხზე მდგომარე ქალს, რომელსაც მარცხენა ხელში სჭერია ფარი, მარჯვენაში შუბი. ეს ანდრიანტი ისე მაღალი ყოფილა (ათი საჟენი) და ისეთ მაღალ წერტილზედ აკროპოლისა მდგარა, რომ მონავენი, მიმავალნი ათინაში, თავის ხომალდებიდან ჰხედავდნენ რამდენიმე ვერსის სიშორეზედ მის ჩაჩქნის და შუბის წვერსა.

პირიდან რომ გამოვედით, ჩვენ გარს შემოუარეთ საბერძნეთის ნაპირებსა და გაესწიეთ პირ-და-პირ კუნძულ სიცილიისკენ. მატაპანთან (კლდის ქედია, ზღვაში შეტანილი) ზღვა ძალიან აგვიღელდა, მაგრამ ისე არ შეგვაწუხა, როგორც მგეიის ზღვაზედ სჭირნიდან პირეემდინ.

მატაპანს გავსცდით თუ არა, ჩვენ დავიწყეთ ცურვა ხმელთა-შუა ზღვაზედ, რომელიც გავიარეთ ერთ დღე-და-ღამეში და გათენებისას მიუახლოვდით სიცილიას.

ცამ იწყო თუ არა რაჟრაჟი, ჩვენ ხომალდის ქორედიდან დავინახეთ აღმოსავლეთით უშველებელი, სიბნელით შემოსილი კუნძული სიცილია. რა მშვენიერ სურათს წარმოგვიდგენს ეს კუნძული მზის ამოსვლის დროს! ზღვის ჰორიზონტზედ აღმოსავლეთით ერთბაშად გაიელა ამომავალ მზის სხივმა, ელვის სისწრაფით უკუიქცა ზღვის ანკარა წყალში და გაითამაშა. ერთ წამის შემდეგ გაირბინა მეორემ და მესამე სხივმა და ზღვის სივრცის იქით ამოჰყო თავი მზემ, შემოსილმა ძოწეულითო. აღმოსავლეთით მთელი ჰორიზონტი წითლად შეიღება; მეორე მხარეს კი ჯერ ისევ უფლობდა სიბნელე სიცილიის მთების ხეობეებში, მხოლოდ თოვლიანი თხემი (წვერი) ეტნისა და კვამლის ამ ცეცხლ-მქმენავი მთიდამ ამომავალი—პრწყინავდნენ ოქროს ფრად.

რა მშვენიერი მდებარეობა და ბუნებაა! მოგზაური ჰგრძნობს სულის უმაღლეს სიტკბოებას, როცა ხედავს ამ ბუნების სიტურფეს და როცა მოიგონებს, რომ ეს კუნძული ის ძველი ადგილია, რომელთანაც დაკავშირებულია რომაელების და ბერძნების ზღაპარ-სიტყვაობა და რომელიც ატრიალებდა ბედს რომისა, ათინისას და ქართაგენისა. მართლა სთქვა ბეტემ, რომ:

„იტალია მოგზაურის სულში არ დანერგავს მოგონებას უ-სიცილოოთ: სიცილია ასრულებს მშვენიერ სრულსა.“

P.S. ღეს სამი კვირაა, რაც აქ დაიწყო და მუდამ-ღეე მოდის წვიმა და ხან ხორხოშელა. ბედნიერი ცა მოღრუბლულია შავი ღრუბლებით—წვიმს, ქუხს და ელავს.

ნაპოლის ახლო-მახლო აგარებიდან და სოფლებიდან იწერებიან, რომ „აქ ნიაღვრებმა ნათესი წალეკა და მიწა ისე ძლიერ გალხვა, რომ ხვნა-თესვა შესაძლებელი არ არის; ყოველ ღეე საწყალი, შეწუხებულნი გლეხ-კაცობა იკრიფება საყდრებში და ევედრება ღმერთს: „ღმერთო, შენი წყალობა მოგვაკლე: აღარ გვინდა წვიმაო!“

ნეაპოლი, 2 ღეკემბერსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის პატივისცემითა და მეგობრულად შიეგება ჩვენს (ინგლისის) ჯარებს. აქ, ჯელალაბადში, ამ ქამად სრული მშვიდობიანობაა, მაგრამ ამას იქით ქაბულისაკენ და თვითონ ქაბულში კი უწესოება და ხალხის მღელვარებაა.

ოსმალეთი

ჯერ თითქმის არც კი დაუწყია ხაირედდინ-ფაშის სამინისტროს, თავის თანამდებობის აღსრულება და ახლაც ლაპარაკობენ, რომ ეს სამინისტრო ამ დღეებში უნდა გამოიცვალოსო. თვითონ ხაირედდინ—ფაშას უთქვამს, რომ ჩემ მთავა-ვიზირობას დიდი ხნის სიცოცხლე არა აქვსო. ამბობენ, რომ ხაირედდინის შემდეგ საიდ-ფაშას დანიშნავს ხონთქარი მთავარ ვიზირად. ლაპარაკი არის აგრეთვე, რომ სულთანი მითხად-ფაშის მოხმობას აპირებს სირიიდამაო, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ახლახან დანიშნა ის ლუბერნატორად.

— ნემეცურს გაზეთს „პრესსში“ იწერებიან სტამბოლიდამ, ოსმალეთი მხოლოთ იმ პირობით დაუთმობს ავსტრო-ვენგრიას ახალ-ბაზარის მაზრას, თუ ავსტრია პირობას შეჰკრავს იმასთანაო, რომ რომელსამე სახელმწიფოსთან ომის დროს ის ოსმალეთს მოეხმარება. დარწმუნებით ამბობენ, რომ ავსტრია ამ გვარის პირობით ვერ შეეკვრება ოსმალეთსაო.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ლონდონი, 18 დეკემბერს. გაზეთს „ტაიმსში“ იწერებიან: ტყუილია, ვითომც ავღანის მმირის შვილი იაკუბ-ხანი ჯელალაბადში მოვიდა ინგლისის ჯარის ბანაკშიო.

გაზეთი „სტანდარ“ გვაცნობებს, რომ ლენ. რობერტსს მოუხმია ჭურუმის მაზრის გაველენიანი მცხოვრებნი (ავღანში) და გამოუცხადებია იმათთვის, რომ ავღანის მმირის ბრძანებლობა მოსპობილია ამ მაზრაში სამუდამოთ და დღეის შემდეგ ხალხი ინდოეთის იმპერატრიცას (ინგლისის კოროლევას) უნდა ემორჩილებოდეს.

პეტერბურღი, 19 დეკემბერს. „რუსის ინვალიდში“ დაბეჭდილია შემდეგი უმაღლესი ბრძანება: კავკაზიის გრენადერის 38, 39 და 40 ქვეითა დივიზიისაგან და 1 და 2 კავკაზიის კავალერიის დივიზიისაგან შესდგეს კავკასიის ოცი არმიის კორპუსი.

ვენა, 18 დეკემბერს. ოსმალეთის მინისტრების რჩევამ გარდაწყვიტა, რომ ოსმალოს ქალალდის ფული კიმე სრულიად მოსპონ ხმარებაში. ბრაფი კორტი ვენით სტამბოლში მიდის.

პეტერბურღი, 20 დეკემბერს. ბუშინ მოვიდნენ აქ ჩინეთის ელჩები და „ევროპის სასტუმროში“ ჩამოხტნენ. ბუშინ პრეობრაჟენსკის სობოროში იყო მოლევნა ბვარდიის ჯარის ბალკანის მთებზედ გადასვლისათვის. თვითონ იმპერატორი დაესწრო. სათამაშოს—საზეიმოთ სასახლეში იყო სადილი.

პეტერბურღის ბირჟა, 19 დეკემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის	—	96
მეორე	—	94
მესამესი	—	94
მეოთხესი	—	94
აღმოსავლეთის პირ.	—	92
აღმოსავლეთის მეორე	—	91
ოქრო, ½ იმპერიალი	—	8
თფილ. თავად-აზნ. ბანკის		
გირაოს ფურცელი	—	—

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი სესხის	—	235
მეორე სესხის	—	231

1 მანეთი ლირს:			
ლონდონი	—	23	„ ფენსი
ამსტერდამი	—	116	50 ცენტი
ბერლინი	—	196	50 ჰფენიგი
პარიკი	—	241	„ სანტიმი
კავკასიის კერასინი	—	—	„ —

განცხადება

ხუთშაბათს, 21 დეკემბერს

ნემეცების კლუბის ზალაში

ქართული სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება

„სკაპენის ცულლუტობა“

სამ-მოქმედებიანი კომედია მოლლიერისა

გადათარგმნილი აკაკი წერეთლისაგან

და

„ცოლი თუ გინდა, ეს არის!!“

ვოდევილი ვ. აბაშიძისა

ბილეთების ყიდვა შეიძლება უფ. ფოტოგრაფს როინოვთან, სასახლის ქუჩაზედ, ზ. სარაჯევის სახლებში და წარმოდგენის დღეს თვით კლუბში.

წარმოდგენის შემდეგ 2 საათამდინ იქნება ტანცაობა. (2—2)

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი	9	21	5	18	ს.	კაპ.	ს.	კაპ.
მცხეთა	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი	1	44			4	42	2	46
ყვირილა	5	49			5	81	3	23
რიონი	6	57			6	75	3	75
სამტრედია	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი	9	50			9	75	5	42
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	6
სამტრედია	11	5			2	6	1	14
რიონი	12	13			3		1	69
ყვირილა	1	18	ღამ.		3	96	2	21
სურამი	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მან.	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურღს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდ. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქუთაისს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ— ყოველ დღე, კვირას გარდ. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		კაპ.
ღია წიგნის		4
დაბ ჭდილის (ბეჭდი მისხალი)		8

მაზანდა

თფილისი, 19 დეკემბერს.	მან	კაპ
ფქვ. თფ. ბანჯისა, ფთ.	1	95
ფქვილი წითელი	1	70
ქერი ფუთი	1	35
ბამბა ერევანისა, ფუთი	7	20
— ამერიკიანა, ფუთი	8	40
ბაპენტილი ბამბა ფუთი	10	—
მატყლი თუშური ფუთი	7	20
— მარაქამისა ფუთი	4	60
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი	5	20
ქონის სანთელი ფუთი	7	60
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბროც. ფუთი	8	40
—ფხვნილი ფუთი	6	40
ყავა გრგვალი, გირვ.	—	70
ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	13	—
თამბაქო, ხაშუალო ფთ.	6	80

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავთმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარლეევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანეცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 20 Декабря 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.